სამშობლო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 133 ✤ დამატების № 22

კვირა, 19 ივლისი 1915 წ.

სამშობლო—დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია. ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.



ევსევი ჩხეიძე.

დაჭრილია გერმანელებთან ბრძოლაში. მორჩენის შემდეგ ისევ გაიწვიეს.



ვარლამ ჩხეიძე.

ორჯერ დაიჭრა გერმანიის ფრონტზე. მორჩენის შემდეგ გაგზავნეს კავკასიის ფრონტზე.

ერმილე ნიკოს-ძე სოფრომაძე.

დაჭრილია გერმანელებთან ბრძოლის დროს.



ჯრაჭ. როსტომ (ნიკოლოზ) სიმონის-ძე

ამაშუკელი.

ჯ. კ. ავდენალო კ—ძე ბარბაქაძე.

მოკლულია 28 დეკემბერს ოსმალებთან ბრძოლაში.

დუმილი.

ზღვის ტალღებში მოცურავე მე ობოლი ვარდი ვპოვე,
ვპოვე და: წყმა გადმომდგა მის ობლობა, სიმარტოვე!
ზვირთი ზვირთს სცემს, ტალღა ტალღას.
ორივე ვარდს ეტანება...
მარტოთ მარტო იღუპება,
მეცოდება, მენანება!
მითხარ, კარგო, მითხარ ვარდო,
სულის სევდავ, გულის დარდო,
ვინ მოგწყვიტა შენ მშვენიერ და ნაზ ღეროს,
ან ბულბულმა, შენმა სატრფომ, ვის დამღეროს!..

* * *

ზღვის ნაპირზე დავდიოდი და იქ ვპოვე გარიყული
მე ის ვარდი... შემეცოდა, ამიტო�და ნახვით გული...
ქარი ჰქრის და ქვიშას აყრის!
ის ობოლი კვდება, კვდება!
და უცნობი, საიდუმლო
გაურკვეველთ რჩება, რჩება!
ხელი ვსტაცე, მივიკარ გულს,
რომ სიცოცხლე გადაედვას,
მაგრამ საწყალს, დაობლებულს
რა აღუძრავს სისხლთა ღელვას!
ჰითხარ, ვარდო, სანამ შენზე აღუმართავს სიკვდილს ცელი,
სანამ შენთვის არ გამხდარა შავი მიწა სარეცელი,
მითხარ, ვარდო, საზარ სიკვდილს როგორ ელი, როგორ
ელი!?

* * *

იგი სდუმდა, ვით სირუმე ბნელი ცისა
და სიკვდილის საიდუმლო არ მაღირსა,
სდუმდა ისა!
. . . . . .
. . . . . .
სდუმდი, სდუმდი და მეც მივხვდი, შე ობოლო,
ეგ დუმილი სიკვდილისა არს სიმბოლო!

ვ—ს ბანო.



სადღეისოდ.

ღრუბელს შთაუნთქავს სინათლე დღისა,
ცას აკრეფია ფირუზის ფერი,
ქვეყნად არ ნათობს ციაგი მზისა,
თითქოს მიმკრალა ყოველისფერი.
საღამო დროა. არ ქრის ნიავი,
შორით მიმწყდარა მთისა მწვერვალებს,
სიო არ ლოშნის ვარდისა ბუჩქებს,
აღარც მის ფშვინვა ბალს ამღელვარებს...
ნეტავ რა არის! რაღას შთაუნთქავს
ეს ცისა სარკე—დღის შუქს მფენი;
ულმობელად ცას რად მოსწოლია
ეს ამაზრზენი ბლოვის სახენი!..
ნუ თუ დღეს შავი ნისლის მორევში
ჩასმულს წაერთვას მარადის ფერი,—
და ჩემს სასურველს.. ჩემთანა ერთად,
მარად სტიროდეს ჩემივე ერი?!..
არა. არა მწამს! კიდევ იმედი
მე მაქვს ნუგეშად გამოსახული,
თუნდაც ეზვირთდეს სრულად სიბნელე,
ვერ შემირყოოს მან განზრახული!..

როსტომ—გუჯა ჩიქოვანი.



მწირი ვარ, მწირი!..

მწირი ვარ, მწირი ჩაგრული, მოსული ამა სოფლათა
ვეძებ და ვერსად მინახავს ნეტარი, შთენილს ობლათა,
ვერავინ ვნახე ისეთი, მწარე რომ ტკბილზე მიცვალოს,
ლხინში ფ ჭირში თანაბრათ გული სწორის-სწორს მიცალოს:
ვის არ შეესხო

ვე, შეეჩივლე ტკივილი ჩემს გულისა,
სად არ დავლვარე ცრემლები, ვით შეიფი ნაკადულისა,
მაგრამ არავინ მისმინა ვედრება ტანჯულ სულისა,
არავინ მომცა წამალი, გამკურნებელი წყლულისა.
დავდიევარ, დავძრწი ტყე-ველთათ, ობლათ შთენილი, ეული,
ცხოვრება ჩემი დუხჭირი ცრემლის ზღვათ არის ქცეული,
დავდიევარ, მწარე ფიქრები აჩრდილათ მეელინებიან,
დრო მიდის... წუთი წუთსა სცელის და როგორც
ლანდი ჰქრებიან.

სოსო ვარდიძე.



სიკოს დასაფლავება.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან*)

ადგომა დავაპირე, მაგრამ იასონის ხალმა სულ-გრძელომ შემაჩერა. ვხედავ—სიკოს უფროსი ვაჟი ანდრია ხელმოკლობილი ადგია თავზე საყვარელ ტოლოვმბაშს.

— მე, ძვირფასო ანდრია, იმიტომ მოგიწოდე, რომ მსურს ამ შენგან ნებადართულ ყანწით პირადათ გადღეგრძელო. უკანასკნელი იყოს შენი ოჯახისათვის, მეზობელო, დღეკანდელი მწუხარება; სიკოს დანაკლისი დღე შენ შეგმატოს ღმერთმა. იმედია, ამ ყანწით ყველა მირთმევს შენ სადღეგრძელოს, დაუმატა იასონმა და დაცლილი ყანწი მეზობელს გადაცა.

— შენი მწუხარება სიხარულად შეგეცვალოს მეზობელო, მომეცსა შეზარხოშებული ხალხის ხმა.

მე კიდევ უფრო შემრცხვა.. ვეღარ შევუერიგდი სოფლელების ამ გვარ საქციელს და ზეზე წამოვდექი.

კიდევ ფიქრებმა გამიტაცეს... ვერ გამოვერკვევ: ლხინი იყო დღეს სიკოს ოჯახში, თუ ჭირი.

მოსადილეები, ზოგიერთებს გარდა, ალბად სინიდისმა ამბილა, აიშალენ.

— პეტრე ბატონო, პეტრე ბატონო, ხედავთ, აი, ამ ადამიანებს კალთები და ჯიბეები რო დაბერვიათ? მიმითითა ბესომ ზოგიერთ სოფლელზე.

— რითი კაცო, რითი დაბერვიათ? ცნობის მოყვარეობითი დავეკითხე.

*) დასასრული, იხ. დამატება № 21.

ჯ. კ. რომან ტარიელის ძე მაღრაძე

დაჭრილია ავსტრიის საზღვარზე.



ჯ. კ. ალექსი ივანეს-ძე შარიკაძე.

უგზო-უკვლოთ დაკარგული.

ვიკტორ ს. გაბრიაძე.

დაჭრილია გერმანელებთან ბრძოლაში.

— ნაპარევი პურით, ბატონო, და ვინ იცის კიდევ რით.

— ჩემს გაკვირვებას და აღშფოთებს საზღვარი არ ქონდა, როცა თვალწინ გადამეშალა მწარე სინამდვილე. როცა დავრწმუნდი, რომ ჭირის დღეს სოფლის ოჯახში მოდიან თურმე იმისთანა პირები, რომლებიც ქურდობითაც კი, უმასპინძლდებიან სიკვდილით დაჩაგრულ ოჯახს. მაგიდა გაწმინდეს. მოფინეს ხელმეორედ პურითა და ღვინიანი ბოთლებით.

— ბატონებო, ვისაც არ გისადილიათ, მობრძანდით, სადილი ინებეთ, მოუწოდა საზოგადოებას გამგემ. კიდევ წინანდელი ჩოჩქოლი, კიდევ ხანგრძლივი ნაყროვანობა, ახალი ტოლუმბაშები, ახალი სადღეგრძელოები, ახალი უწესოებანი...

გაწმინდეს კიდევ მესამედ მაგიდა, მოფინეს პურ-ღვინით. მოუწოდეს უსადილოებს.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ქონდა, როცა ჩემმა ძმამ ივანემ მიმითითა ზოგიერთ პირზე, რომელმაც ჩემთან ერთად ისადილა და კიდევ მეორედ, ურცხვად მოჯდომოდენ მაგიდას და მიეცა თავი ახალი ნაყროვანობა გაუმაძღრობისათვის. კიდევ წინანდელი სურათი: კიდევ ახალი ტოლუმბაშები, კიდევ კრიტიკული შენიშვნები, კიდევ ქება, კიდევ გინება...

——

კიდევ ფიქრებმა გამიტაცეს. ვიფიქრე: იქნებ სოფლელები ასე მიტომ თამამობენ, რომ დღეს ღრმა მოხუცს ასაფლავებენ-მეთქი. მაგრამ ჩემი ძმა ივანე, ჩემი მეგობარი ბესო წელან არ კი მარწმუნებდენ, რომ ამ გვარ უწესო სცენებს ახალგაზრდის გასვენების დღესაც აქვთ ადგილიო. მაშასადამე, როგორც სჩანს, ამ ადამიანის დამამცირებელ სამწუხარო მოვლენას დიდიხანია რაც მოუპოვებია სასურველი ნიადაგი სოფლის ცხოვრებაში.

ნეტავი რა დააშავა სიკომ? რა დანაშაულობა მიუძღვის მეზობლებთან, რომ ამ უკანასკნელებმა ასე ანგარიშ მიუცემლათ შეურაცხყვეს მისი უსულო გვამი, მისი ოჯახი? ადამიანმა ოთხმოცდა ათი წელი იცოცხლა... თავისი ძალა, ღონე, ნიჭი შესწირა იმ პატარა საზოგადოებას, რომელსაც ეწოდება ოჯახი. რამოდენიმე ათი წლის განმავლობაში შეძლებისა და გვარად ებრძოლა, მეზობლებთან ერთად, ცხოვრების სასტიკ ტალღებს. დღეიდან სტოვებს შვილებს, მეზობლებს, მტერ-მოყვრებს, თავისი მარჯვენით გაშენებულ ეზო-გარემოს... ამ გვარმა მოვლენამ ცრემლი და თანაგრძნობა კი უნდა გამოიწვიოს ცოცხლებში და დღეს ამის ნაცვლად რას ვხედავთ: მიცვალებულისა და მისი ჭირისუფლების შეურაცხყოფას სიტყვითა და საქმით.

——

ამ ფიქრით ვიყავი გართული, როცა ახალმა, ჩემ თვის სრულიად მოულოდნელმა, სურათმა მიიპყრო მთელი ჩემი ყურადღება. უეცრად საზოგადოებას არჩევე-

ლებრივი მოძრაობა დაეტყო: ქალი, კაცი, დიდი, პატარა ერთი ადგილისაკენ გაბობდა, საიდანაც ისმოდა საზარელი ლანძღვა-გინება, კაცების ღრიალი, ქალების წივილ-კივილი, „გაუშვიო", „არ გაუშვეთო" ... ძახილი.

თურმე, ნუ იტყვით, ღვინით გაკღეფილ ზოგიერთ სოფლელს წაეყვანა იასონი სიკოს ვენახში, მოეხახათ ჩერო და, აი, აქ მოეთხოვათ „ცივი ღვინო"*. მათ დავიწყნოდათ თავიანთი ადამიანური მოვალეობა, დავიწყნოდათ მოძმის კუბი, ცრემლი, ჭირისუფლები და მისცემოდენ დაუსრულებელ ლოთობას. შემდეგ ღვინით გონება დაკარგულთ აეტეხთ „ჩხუბი არაფერზე", შექნილიყო პარტიობა: ჩიბურდანიძეები თხლაძეებს წინააღმდეგ გამოსულიყვენ, მოემართათ კრიე, ქვები და ხანჯალ-ფიშტოები და ერთ გვარს უპირებდა ამოწყვეტას.

ეს საზარელი საქმე მოხდა იმ დროს, როცა მიცვალებული ეზოში გამოასვენეს, წესი აუგეს და ეკლესიისკენ პირებდენ გამგზავრებას. ვიღას ახსოვდა მიცვალებული... საბუჭარო სურათი გადაიშალა ჩემს თვალწინ: ეზოში ესვენა სიკოს გვამი და თავს ადგა მხოლოდ რამოდენიმე ჭირისუფალი ქალი და დიაკვანი, დანარჩენები კი მოჩხუბრებისაკენ გარბოდენ.

რამდენიმე სპპატიო პირის წყალობით მშვიდობა ჩამოვარდა. კი, მართალია, არავინ მომკედარა, მაგრამ გალახულ-დაბეგვილი კი რამდენიმე პირი აღმოჩნდა ორსავე მაჩხუბარ გვარში.

ველარ აეიტანე ჩემი მეზობლების ამ გვარი უსაქციელობა. შემეცოდენ და ამასთანავე შემეზიზღენ... მოვნახე ჩემი ძმა ივანე და, ძლიერ უკმაყოფილო ამ დღის ნახულითა და გაგონილით, სახლისაკენ გავემართე.

გზაზე კიდევ ფიქრებმა გამიტაცეს. მოვიგონე ყველაფერი, რაც ვნახე დღის განმავლობაში. მოვიგონე ამ გვარი შემოხვევა—მიცვალებულის დასაფლავება—ქალაქში; შევადარე ამ მხრით ქალაქი და სოფელი და დიდი, ძლიერ დიდი განსხვავება ვპოვე მათ შორის.

— ივანე, მივუბრუნდი ჩემს ძმას, კაცო, რა ნახეს დღეს ჩემმა თვალებმა! არა, მითხარი სინდისის ქვეშ, დღეს პატივი ეცით მეზობლებმა თქვენს უხუცეს მეზობელ სიკოს და ამ უკანასკნელის ჭირისუფლებს? არა, და ათასჯერ არა. თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ სიკოს ოჯახს სიტყვით, გალანძღეთ ეს ოჯახი საქმით. აბა, რას ნიშნავს ეს უზომო ჭამა? აბა, რით უნდა აგხსნათ ეს უზომო ღვინის სმა? ლოთობა და ჭირის ფიცი, ეს ჩემი ძმაო, ერთი მეორეს მოწონაღმდეგემოვ ლენაა. მიცვალებულის კუბო, ჭირისუფლების ცრემლი, ოხვრა-კვნესა ერთის მხრით; მეზობლების ნაყოფიერება, უზომო სმა-ჭამა, დეიმა-ყვირილი-ჩხუბი მეორეს მხრით—ყველა ეს ხომ მეტრმეტყველურად ლაპარაკობს მაზე, რომ სოფლელები მოძმის დასაფლავების დღეს თავის მოვალეობას ვერ ცნობენ, თავის თავს შეურაცხყოფას აყენებენ.

მიცვალებულს, ჩემო ძმაო, ქალაქშიაც ასაფლავებენ, მაგრამ ამის მსგავსი, რისი მნახველიც ვიყავი დღეს სიკოს ოჯახში, ვერაფერს იპოვით იქ.

ქალაქშიაც იკრიბებიან დანიშნულ დროსა და დღეს მიცვალებულის ოჯახში ამ უკანასკნელის მეზობლები და ნაცნობ-მეგობრები, ტირიან მიცვალებულს, უცხადებენ თანგრძნობას ჭირისუფლებს, მიყვებიან წყნარად მიცვალებულის კუბოს საფლავამდის, ადამიანურათ ეთხოვებიან და თავ-თავის ბინაზე ბრუნდებიან. აქ არც ნაყროვანობას აქვს ადგილი, არც ლოთობას და არც ამ უკანასკნელის შედეგს—აყალ-მაყალს, ჩხუბს. ერთი სიტყვით—ფხიზელი საზოგადოება იკრიბება მიცვალებულის კუბოსთან და ფხიზელი საზოგადოება ბრუნდება სახლში.

ეს რომ ადამიანური ჩვეულებაა, ამაზე ლაპარაკი ზედ-მეტია; მაგრამ უნდა სიმპათიე ოქვას, ივანე ჩემო, რომ ამ სიმპატიურ ჩვეულებას ჩირქს სცხებთ თქვენ სოფლელები მოუფიქრებელი, აუწონ-გაუზომელი მოქმედებით,

ცრემლს, გრძნობის გამოცხადებას თხოულობს ეროძმის უსულო გვამი, მისი ჭირისუფლები, ეს ადამიანური ჩვეულებაა, მაგრამ ეს ჩვეულება კარგავს თავის შნოს, ლაზათს, იმდაღლება და ირჩქება უარყოფითი მხარეებით; გაათავისუფლეთ ეს სიმპატიური ჩვეულება ამ უარყოფითი მხარეებიდან და მაშინ ამ ჩვეულების წ- ნაადმდეგი, მე მგონია, არავის არაფერი ექნეს.

მეტყვიან: ჭამა და სმა ყოველთვის საჭიროა ცოცხალი ადამიანისთვის,—ჭირის დღე აქვს მას თუ, ლხინისა, კარგი და პატიოსანი. მაგრამ როგორი სმა და ჭამა! ნუ თუ იმ გვარი, რასაც ქონდა ადგილი დღეს სიკოს ოჯახში? ამ გვარ სმასა და ჭამას ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთი სახელი ვუწოდოთ: ნაყროვანობა, გაუმაძღრობა.

ჭამა და სმა ზომიერი, ადამიანური კიდევ შეიძლება შეიწყნაროს კაცმა დღეს-დღეს. მაგრამ ჩემი ორმა ტრფენინო, სულ თუ არ ექნება ადგილი „პოეტიზა და ღვინით" მიცვალებულის გასვენებას სოფლად ისე, როგორც ეს ქალაქშია, ბევრათ უკეთესი და ადამიანური იქნება ეს ჩვეულება.

არა, მითხარი თუ ღმერთი გწამს, ნუთუ შეუძლებელია მეზობლისათვის მეზობელთან მივიდეს აღნიშნულ დღეს, იტირონ, გრძნობა გამოუცხადოს ჭირისუფლებს, გაყვეს მიცვალებულს საფლავამდის და შემდეგ თავის სახლში მიიღოს სასმელ-საჭმელი? აქ შეუძლებელი ჩემის ფიქრით, არა არის რა.

ადამიანს რამდენიმე დღეს შეუძლია უჭმელად გაძლოს, უღვინობა ხომ თვეებიც შეიძლება მოითმინოს და ნუთუ რამდენმე საათის განმავლობაში თავის მოყვრის გულასთვის ვერ აიტანს ადამიანი უჭმელ-უსმელობას, თუ მას აქვს წრფელი სურვილი პატივი სცეს გარდაცვალებულ მომძმეს და ამ უკანასკნელის ჭირისუფლებს.

ბოლრბი.

სტრატეგიული ადგილი ს. ი. ჯოსტიანისა

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ციცაძე.